

განმარტებითი ბარათი

„არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

საქართველოს კანონის „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ 5¹ – 5¹⁰ მუხლებში არსებობს ნორმათა კოლიზია. ერთიდაიმავე ურთიერთობას არეგულირებს ორი სხვადასხვა ნორმა. მაგ: 5¹ მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დარღვევისათვის – მუნიციპალიტეტში 500 ლარის ოდენობით, ხოლო დასახლების ტერიტორიაზე 200 ლარის ოდენობით, ანალოგიური ფორმულირებაა 5²-5¹⁰ მუხლებში. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 1 მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტი განმარტებულია – „დასახლებათა ერთობლიობა, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად აქვს თვითმმართველი ერთეულის სტატუსი“, ხოლო ორგანული კანონის 1 მუხლის „დ“ და „ზ“ ქვეპუნქტების შესაბამისად დასახლება შეიძლება იყოს სოფელი, თემი, დაბა, ქალაქი.

აღნიშნული ნორმების (5¹-5² მუხლების) შესაბამისად ვერ დგინდება რა ოდენობით უნდა დაჯარიმდეს პირი, რომელიც სამართალდარღვევას ჩაიდენს სოფელში, რომელიც ერთდროულად არის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაც და მუნიციპალიტეტის დასახლების ტერიტორიაც.

აქედან გამომდინარე საქართველოს კანონის „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ 5¹ – 5¹⁰ მუხლში საჭიროებს ცვლილებას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია გაიმიჯნოს მუნიციპალიტეტის ქალაქში ჩადენილი სამართალდარღვევები დაბაში, თემში და სოფელში ჩადენილი სამართალდარღვევებისაგან, შესაბამისად გაიმიჯნოს პასუხისმგებლობები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის მიღების შედეგად აღმოიფხვრება საკანონმდებლო ხარვეზი. გაიმიჯნება მუნიციპალიტეტის ქალაქში ჩადენილი სამართალდარღვევები დაბაში, თემში და სოფელში ჩადენილი სამართალდარღვევებისაგან, შესაბამისად გაიმიჯნება პასუხისმგებლობებიც. კონკრეტულად განისაზღვრება რა თანხით ჯარიმდება პირი, რომელიც სამართალდარღვევას ჩაიდენს მუნიციპალიტეტის დასახლების - ქალაქის ტერიტორიაზე და რა თანხით ჯარიმდება პირი, რომელიც სამართალდარღვევას ჩაიდენს მუნიციპალიტეტის დასახლებების - დაბის, თემის ან სოფლის ტერიტორიაზე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ მოითხოვს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირობებზე რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის ცენტრის ექსპერტებმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

კანონპროექტი არ ყოფილა წარდგენილი ექსპერტებისათვის.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი.

თარიღი 2008 წლის 27 ივნისი